დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ლიანა კობესაშვილი **წევრ(ებ)ი:** კესო ბოყოველი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	203827083

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ვარლამ თოფურიას ქ. N2
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://www.waldorfschule.edu.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	waldorfschule@waldorfschule.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	032 2 54 54 00

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 17.02.2025 წლის ბრძანება MES 0 25 0000163413
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 21 თებერვალი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის 20 იანვარს შემოვიდა წერილი №29377 სადაც მოქალაქე მიუთითებდა ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალ ვალდორფის სკოლა-ბაღში მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის, დამრიგებლის/კლასის მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობების აღსრულების, სწავლების მეთოდებისა და სასწავლო რესურსების გამოყენების შესაძლო დარღვევებზე.
განცხადებაში ასახული გარემოებების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილი იქნა 2025 წლის 17 თებერვლის ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება. მონიტორინგი განხორციელდა 2025 წლის 21 თებერვალს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
460	412

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვიზიტის აღწერა

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი დაწესებულებაში. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ფაქტების, საჩივრების განხილვის სისტემის არსებობა;
- პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების არსებობა;
- მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის მექანიზმების არსებობა და მისი კანონმდებლობის შესაბამისად მართვა;
- სკოლის მხრიდან მოსწავლეების მიერ აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად განსაზღვრული/დეკლარირებული კონსულტირების და მხარდაჭერის მექანიზმების არსებობა და პროცესის შესაბამისად მართვა;
- სკოლის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნობრივად წარმართვის პროცესის, მათ შორის, მოსწავლესთან/ მოსწავლის მშობელთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის მექანიზმის არსებობა და მართვა;
- დამრიგებლის უფლება მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტაციის არსებობა და პროცესის მართვა;
- ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
- პერსონალური მონაცემების და ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა;
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ვიზიტის დროს, გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა სასკოლო დოკუმენტაცია, განხორციელდა ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან: დირექციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან პირისპირ რეჟიმში, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და განცხადების ავტორთან დისტანციურად, თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების გამოყენებით.

დასკვნის წინამდებარე ნაწილში წარმოგიგდენთ განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს დადგენილ გარემოებებს და მათ შეფასებას.

განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირებით დადგინდა შემდეგი ფაქტები:

- მოსწავლეებს, კლასის მასწავლებლები, საჭიროების შემთხვევაში, ტოვებენ გაკვეთილების შემდეგ გარკვეული პერიოდით და დამატებით ამეცადინებენ. ამის შესახებ ინტერვიუში განაცხადეს მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა, მოსწავლეებმა და

მასწავლებლებმა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დასახელდა ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მშობელი წინასწარ არ იყო გაფრთხილებული/ინფორმირებული მოსწავლის გაკვეთილების შემდეგ დატოვების თაობაზე;

- ეპოქალური სწავლება მიმდინარეობს მასწავლებლის მიერ წინასწარ დაგეგმილი შინაარსის საფუძველზე. მოსწავლეები ამ შინაარსს ისმენენ, ამუშავებენ ეპოქის გაკვეთილებზე და აკეთებენ ჩანაწერებს, რომლის საფუძველზეც შემდგომ თავად ქმნიან საკუთარ ეპოქის გაკვეთილებს/სახელმძღვნელოებს;
- გრიფირებული სახელმძღვანელოები როგორც წესი გამოიყენება როგორც ერთ-ერთი დამხმარე რესურსი ეპოქის დასაგეგმად. სახელმძღვანელოს იყენებს მასწავლებელი. მოსწავლე მას არ იყენებს და მშობლები არ ყიდულობენ;
- ეპოქის გაკვეთილზე ახსნილ მასალას მოსწავლეები სახლში კიდევ ამუშავებენ და მეორე დღეს განიხილავენ გაკვეთილზე;
- მოსწავლის კლასიდან პარალელურ კლასში გადაყვანისათვის სკოლას არ აქვს შემუშავებული კონკრეტული წესი. როგორც ინტერვიუს დროს დამრიგებელმა და ასევე მართვის ორგანოს წარმომადგენელმა აღნიშნეს მოსწავლის კლასიდან პარალელურ კლასში გადაყვანის გადაწყვეტილებას ღებულობს „მიმღები“ დამრიგებელი;
- განმცხადებელს სკოლაში საჩივარი წერილობითი ფორმით (როგორც ამას ითვალისწინებს ა(ა)იპ „თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღი“ - ს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი) არ წარუდგენია, მხოლოდ სიტყვიერად მიმართა ბიუროს. სკოლის შინაგანაწესის 37-ე მუხლი - „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი“ ითვალისწინებს დისციპლინური წარმოების დაწყების შესაძლებლობას პირის განცხადება/საჩივრის, შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის ქმედებით დაირღვა შინაგანაწესის, მასწავლებლის კოდექსის, მოსწავლის კოდექსის მოთხოვნები ან მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. იმავე შინაგანაწესის 36-ე მუხლის 4.2. პუნქტის მიხედვით სკოლის დისციპლინურმა საბჭომ საჩივრის ავტორს და პირს, რომლის წინააღმდეგაც შემოსულია საჩივარი, უნდა ჩამოართვას ახსნა-განმარტებები. გაესაუბროს მხარეს და მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება, დოკუმენტების და შესაბამისი მასალების წარდგენა. გაითვალისწინოს შემოსული შუამდგომლობები და დამატებითი ახსნა-განმარტები. 38-ე მუხლის მიხედვით კი დისციპლინურმა საბჭომ საჩივრის ან განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, უნდა შეისწავლოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება. განმცხადებლის განმარტებით დისციპლინურ საბჭომდე საკითხი განსახილველად არ მისულა, თუმცა სკოლას კომუნიკაცია მის მოთხოვნასთან დაკავშირებით ჰქონდა.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (2025 წლის, 10 მარტის წერილი N70), რომლითაც დაეთანხმა ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ექსპერტთა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია რიგ ინდიკატორებთან მიმართებაში. კერძოდ,

- 3.3.1.3. ინდიკატორთან მიმართებით დაეთანხმა სკოლის პოზიციას, რომ დოკუმენტების შესაბამისობაში მოყვანა შესაძლებელია შესაბამისობით წარმოდგენილ ვადაში (10.03.2025-10.05.2025 წ.) და 3.3. კომპონენტის შეფასება „არ შეესაბამება“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“.
- 3.6.3.5. ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რომ შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (10.03.2025-30.06.2025წ.) შესაძლებელია სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის სრულად განთავსება და შესაბამისად 3.6. კომპონენტის შეფასება „არ შეესაბამება“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“

სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 3.1.2.4, 3.4.1.6, 4.1.2.1, 4.2.1.3 და 4.2.3.1 ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული გამომდინარე იქედან, რომ სახეზე იყო წარსულში დამდგარი ფაქტები ხარვეზების სახით, რომელთა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გამოსწორებაც არ არის თავსებადი დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის არსთან და პრინციპებთან, რიგ შემთხვევაში კი წარმოდგენილი არ იყო შესაბამისი მტკიცებულებები ან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული არ იყო შესაბამისი აქტივობა. კერძოდ,

- ინდიკატორი 3.1.2.4. სკოლაში ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული წარმოადგენს უკვე დამდგარ ფაქტობრივ გარემოებას და ამასთან, სკოლამ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა პერიოდი 01.04.2025-31.07.2025 წ. რაც ნიშნავს იმას, რომ უსტატუსო მასწავლებლების მეშვეობით გაგრძელდება სასწავლო პროცესის წარმართვა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად სკოლის პოზიცია არ იქნა გაზიარებული;
- ინდიკატორი 3.4.1.6. სკოლაში ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ:
  ა) სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. აღნიშნული წარმოადგენს უკვე დამდგარ ფაქტობრივ გარემოებას. სკოლა აღნიშნულ დარღვევასთან მიმართებით შემოიფარგლა მხოლოდ სიტყვიერი დაპირებით, მათი მხრიდან არ მომხდარა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა.

ბ)რაც შეეხება მეორე ხარვეზს, რომელიც ამავე ინდიკატორშია დაფიქსირებული და რომელიც ეხება პერსონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით მისი აღმოფხვრა გათვალისწინებული არ არის.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის პოზიცია არ იქნა გაზიარებული.

- ინდიკატორი 4.1.2.1. სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებთან დაკავშირებით წინააღმდეგობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და იწვევს მოსწავლის კანონიერი უფლებების რეალიზაციის შეზღუდვას. აღნიშნულ ინდიკატორთან მიმარებით სკოლამ განსაზღვრა რეგულაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად პერიოდი 10.03.2025 -31.07.2025წ, რაც ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე წლის 31 ივლისამდე სკოლაში კვლავ იმოქმედებს შიდამარეგულირებელი ნორმები, რომლებმაც შესაძლებელია შეზღუდოს მოსწავლეთა კანონიერი უფლებები.
- ინდიკატორი 4.2.1.3. რემედიაციის გაკვეთილების და ასევე, მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გრაფიკის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების ნაწილში სკოლა შემოიფარგლა სიტყვიერი დაპირებით და მისი შესრულების პერიოდი განსაზღვრა 10.03.2025 - 31.03.2025წ. რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ პერიოდამდე ერთის მხრივ კვლავ დაურეგულირებელი იქნება წინამდებარე საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება და მეორეს მხრივ გაურკვეველია 31 მარტის შემდგომ პერიოდში სკოლის ქმედება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული პოზიცია არ იქნა გაზიარებული.
- ინდიკატორი 4.2.3.1. სკოლას ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა გაწერილი პროცედურები და წესები თუ როგორ ახორციელებს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებას და სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველად მართვას. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ აღნიშნული რეგულაციების შემუშავების ვადად განსაზღვრა 10.03.2025-10.05.2025წ. პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულმა შესაძლოა 10 მაისამდე პერიოდში გამოიწვიოს მოსწავლის უფლებების დარღვევა. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული პოზიცია არ იქნა გაზიარებული.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☒ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*ხარვეზი*
ინდიკატორი N.3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა**
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, კერძოდ, სკოლის პრაქტიკა ნებისმიერი მშობელი, სხვა მშობლებისაგან ნებართვის აღების გარეშე, დაასწროს საგაკვეთილო პროცესს, ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს და სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულ მიზანს უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებების, თავისუფლების, პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვა. სკოლას პესონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისგან თანხმობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვს მოპოვებული. **იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები წინააღმდეგობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და

	კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	იწვევს მოსწავლის კანონიერი უფლებების რეალიზაციის შეზღუდვას. **იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა**
ინდიკატორი N4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	რემედიაციის გაკვეთილების და ასევე, მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს არასაგაკვეთილო დროის ფარგლებში მოსწავლესთან დამატებით მუშაობას სასწავლო დისციპლინაში არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, აუცილებლად უნდა იყოს შეთანხმებული მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.
ინდიკატორი N4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	სკოლას არ აქვს გაწერილი პროცედურები და წესები თუ როგორ ახორციელებს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებას და სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველად მართვას.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (10.03.2025-10.05.2025წ) უზრუნველყოს მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გაწერილი

	გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	საჩივრის/განცხადების წარდგენის წესის ერთმანეთთან თანხვედრაში მოიყვანა.
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (10.03.2025-30.06.2025წ) უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდის განახლება, იმგვარად, რომ იგი მოიცავდეს ინდიკატორით გათვალისწინებულ ყველა საჭირო ინფორმაციას. **იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლამ პესონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის/დანიშვნის შესახებ მოახდინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინფორმირება; თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დასკვნით დებულებაში აღნიშნულია, რომ მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი მათი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი დასაქმებული და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს სკოლას საკონტაქტო მისამართზე და ა.შ. სკოლას აღნიშნულ ჩანაწერთან მიმართებაში მიეცა რჩევა პირთა წრე (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი) შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის რეალობასთან.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანის რეგულაცია ისე რომ არ მოხდეს მოსწავლის კანონიერი უფლებების შეზღუდვა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. სკოლის შინაგანაწესის მე-13 მუხლით განსაზღვრულია, რომ „მასწავლებლად შეიძლება დაინიშნოს პირი, თუ ის აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. იმავე მუხლით „ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპების შესაბამისად, I-VIII კლასებში მოქმედებს კლასის მასწავლებლის ინსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილია ასწავლოს რამდენიმე საგანი I-VI კლასის ჩათვლით სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად“.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია/სტატუსი. მასწავლებელი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ არის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთ საგანს მაინც ასწავლის. იმავე კანონის მიხედვით, მუხლი 21[3] მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ: ა) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით); ბ) უნდა ჰქონდეთ განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია; გ) უნდა ჰქონდეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიარონ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი; დ) უნდა ჰქონდეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია; ე) უნდა ჰქონდეთ მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია; ვ) უნდა ჰქონდეთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულებაში შემავალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების მონაცემების შესწავლით დადგინდა რომ სკოლაში დასაქმებული 50 მასწავლებლიდან უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს 12 მასწავლებელს, 8 მასწავლებელი არის მასწავლებლობის მაძიებელი და 30 მასწავლებელი არის უსტატუსო. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა ნაწილი ვალდორფის პედაგოგიკის მიხედვით ასწავლის რამდენიმე საგანს და ამასთან მათ არ უდასტურდებათ ზემოთაღნიშნული განათლება . მაგ., ი.ც. სპეციალობით სამართალმცოდნე ასწავლის ქართულს, ისტორიას, გეოგრაფიას, მათემატიკას, სპორტს, ხატვას და ბუნებას. კ.თ-დაწყებითი კლასების მასწავლებელი, მასწავლებლობის მაძიებელი, სპეციალობით ხელოვნების ისტორია და თეორია ასწავლის: ქართულს, მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებას, სპორტსა და ხატვას და ა.შ.

ხარვეზი. მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობას და მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 3.1.2.4. ინდიკატორის ხარვეზების მომავალში აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არსიდან გამომდინარე. კერძოდ, დადგინდა, რომ სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამო მასწავლებლების მეშვეობით. შესაბამისად, ინდიკატორში აღწერილი ხარვეზი წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს. გარდა ამისა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 31 ივლისი, რაც ნიშნავს იმას, რომ უსტატუსო მასწავლებლების მეშვეობით გაგრძელდება სასწავლო პროცესის წარმართვა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება ინდიკატორთან და შესაბამისად კომპონენტთან მიმართებით არ შეცვლილა.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მონაცემები მართვის საინფორმაციო სისტემიდან;
- მასწავლებელთა საათობრივი დატვრთვა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს სკოლიდან გამოთხოვილი იქნა სკოლაში მოქმედი საჩივრის განხილვის შიდამარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლამ წამოადგინა ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მშობელთან ურთიერთობის წესი და ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის შინაგანაწესი. დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით და რომ სკოლაში საჩივრის/განცხადების მისაღებად, იგი წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. სკოლაში საჩივრის/განცხადების წარდგენა შესაძლებელია სკოლის საქმისმწარმოებელთან განმცხადებლის/საჩივრის ავტორის მიერ ჩაბარებით, საფოსტო გზავნილის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. მშობლის მხრიდან საჩივრის წერილობითი ჩაბარების მოთხოვნაა განსაზღვრული მშობელთან ურთიერთობის წესის მიხედვითაც, რომელშიც ვკითხულობთ „მშობელს უფლება აქვს დაიცვას ბავშვის კანონიერი უფლებები და ინტერესები, უფლება აქვს წერილობითი განცხადებით მიმართოს დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია: ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები და კანონით დადგენილ ვადაში გასცეს პასუხი“. აღნიშნულ შემთხვევაში, განმცხადებლთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ მას წერილობით განცხადება არ ჩაუბარებია. თუმცა, სკოლის შინაგანაწესის 37-ე მუხლის თანახმად დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია პირის განცხადება/საჩივრის, შეტყობინების საფუძველზეც, რომელსაც მიაჩნია, რომ სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის ქმედებით დაირღვა შინაგანაწესის, მასწავლებლის კოდექსის, მოსწავლის კოდექსის მოთხოვნები ან მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. რაც განმცხადებელმა განახორციელა. სკოლის საქმისმწარმოებელმა ინტერვიუს დროს დაადასტურა, რომ დისციპლინური წარმოების დასაწყებად არ არის აუცილებელი წერილობით შეტყობინება. დისციპლინური წარმოება შესაძლოა სიტყვიერი განცხადების საფუძველზეც იქნას დაწყებული. განმცხადებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა რომ სკოლისგან ჰქონდა შეთავაზება საკითხის კლასის მასწავლებელთან ერთად განხილვის, რაზედაც ამ უკანასკნელმა განაცხადა უარი და რომ სკოლისგან მიიღო შეტყობინება, რომ მისი მოთხოვნა (ბავშვის პარალელურ კლასში გადაყვანის თაობაზე) ჯერ არ იყო დაკმაყოფილებული. სკოლის მიერ განხორციელებული კომუნიკაცია ადასტურებს სკოლის მზაობას განიხილოს სკოლაში დაფიქსირებული საჩივარი/განცხადება.

ხარვეზი

სკოლაში მოქმედი ერთი მარეგულირებელი ნორმა ითხოვს საჩივრის განცხადების წარდგენას წერილობითი ფორმით, ხოლო მეორე მარეგულირებელი დოკუმენტით დაშვებულია დისციპლინურმა საბჭომ დისციპლინური წარმოება დაიწყოს პირის განცხადება/საჩივრის, შეტყობინების საფუძველზე. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით თანხვერაში უნდა მოდიოდეს.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 10.03.2025-10.05.2025 წ. პერიოდი, ხოლო შენიშვნის გრაფაში შესრულების სტატუსად მიუთითა „მეტწილი“. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის თანხვედრაში მოყვანა, კერძოდ საჩივრისა და განცხადების წარდგენის/განხილვის წესთან მიმართებით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპონენტი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - ,,მეტწილად შეესაბამება".
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის შინაგანაწესი;
- ა(ა)იპ „თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღი“ სგანცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მშობელთან ურთიერთობის წესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. სკოლის შინაგანაწესის მე-16 მუხლით განსაზღვრულია მისი ფუნქციები, მათ შორისაა ფსიქოლოგიური კვლევა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კლიმატის და მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებების შესასწავლად, საჭირო ფსიქოლოგიური რეკომენდაციების გაწევა მოსწავლესთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში ფსიქიკური ჯანმრთელობის და მოზარდთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშეწყობა. სკოლის ფსიქოლოგს წარმოდგენილი აქვს ანგარიში მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარებული საქმიანობის შესახებ, რაც მოიცავს კონკრეტული კლასის პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებულ ქმედებებს, მუშაობას ისგ ჯგუფთან, კლასის და საგნის მასწავლებლებთან, გაკვეთილიდან გაშვებულ მოსწავლეებთან და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს სადამრიგებლო ინსტიტუტი. დამრიგებლის ფუნქციებში შედის მოსწავლის დახმარება შემხვედრი პრობლემების მოგვარებაში, შეხვედრა მშობლებთან „ბავშვის სოციალური, ფიზიკური და ემოციური განვითარების საკითხებზე (მშობლებთან შეთანხმებით)“. სადამრიგებლო საათზე სამუშაო თემებს შორის კი არის „უსაფრთხოება სკოლაში და სკოლის გარეთ“ - რაც ხელს უწყობს უსაფრთხო სივრცის შექმნას. აღნიშნულთან დაკავშირებით მშობლებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოვლინდა, რომ სკოლა იცავს ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს და ერთ-ერთი მიზეზი, მათ მიერ აღნიშნული სკოლის შერჩევისა არის სწორედ უსაფრთხო ფსიქო-ემოციური გარემო და მოსწავლის ჰარმონიურლი განვითარების ხელშეწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. სკოლის განცხადებით მას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერიც, თუმცა მისი მონაცემები არ იძებნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე. **სკოლას მიეცა რჩევა** პესონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის/დანიშვნის შესახებ მოახდინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინფორმირება.

თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დასკვნით დებულებაში აღნიშნულია, რომ მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი მათი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი დასაქმებული და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს სკოლას საკონტაქტო მისამართზე და ა.შ. სკოლას აღნიშნულ ჩანაწერთან მიმართებაში **მიეცა რჩევა** პირთა წრე (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი) შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის რეალობასთან.

სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთერთობის წესი. აღნიშნული წესის მიხედვით მშობელს უფლება აქვს დაესწროს ნებისმიერ საგაკვეთილო პროცესს. მშობლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ მშობლის საგაკვეთილო პროცესზე დასწრება სკოლის პრაქტიკაა და რომ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისათვის აუცილებელი და საკმარისია შესაბამისი დისციპლინის მასწავლებელი წინა დღეს იქნას გაფრთხილებული. მშობლის გაკვეთილზე დასწრების შემთხვევაში, სკოლის მხრიდან არ ხდება სხვა მშობლებისგან შესაბამისი ნებართვის აღება.

ხარვეზი

სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, კერძოდ, სკოლის პრაქტიკა ნებისმიერი მშობელი, სხვა მშობლებისაგან ნებართვის აღების გარეშე, დაასწროს საგაკვეთილო პროცესს, ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს და სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულ მიზანს უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებების, თავისუფლების, პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვა.

სკოლა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას, რომელშიც გათვალისწინებული აქვს ჩანაწერი მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების ნებართვასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცეთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა თანხმობის აღების კრიტერიუმები. კერძოდ, მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე მიცემული თანხმობა უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე წინაპირობას: იგი უნდა იყოს წინასწარ ინფორმირებული და ნებაყოფლობითი, ამასთან, თანხმობა არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, არამედ - მაქსიმალურად მკაფიო და კონკრეტული (განსაზღვრული მიზნით გაცემული). პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ჩაშენებით დარღვეულია ნებაყობლობითობის პრინციპი. ვინაიდან, მშობელი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ფაქტობრივად „იძულებული“ ხდება დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავების ნაწილსაც.

ხარვეზი

სკოლას პესონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობა მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან არ აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებული.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.4.1.6 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებულ ერთ ხარვეზებთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ მომავალში საგაკვეთილო პროცესზე მშობლის დასწრება განხორციელდება კლასის მშობლების თანხმობის საფუძველზე და არ წარმოადგინა არანაირი მტკიცებულება აღნიშნულ ნორმის რეგულირებასთან დაკავშირებით.
რაც შეეხება მეორე ხარვეზს, რომელიც ეხება პერსონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით მისი აღმოფხვრა გათვალისწინებული არ არის.
აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ინდიკატორთან და შესაბამისად კომპონენტთან მიმართებით დარჩა უცვლელი.

ინდკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა–ბაღის შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ფსიქოლოგის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში;
- მშობელთან ურთიერთობის წესი;
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანატლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლისთვის სასკოლო სზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის პროაქტიურად მიწოდების ერთ-ერთი საშუალება არის სკოლის ვებგვერდი. სკოლას შემუშავებული აქვს შიდამარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის, ასევე, სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად განთავსებული უნდა ჰქოდეს სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის ვებგერდი არ აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს. ის არ ასახავდა სტანდარტით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას. კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდზე არის სიახლეების ველი, თუმცა ბოლო სიახლეები განთავსებულია 2024 წლის ივნისის მდგომარეობით. გარდა ამისა, ველში - სკოლის შესახებ - იძებნება მხოლოდ, სკოლის ისტორია, შინაგანაწესი, სტრუქტურა, სკოლის მისია და წინა წლის ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში. ვებ-გვერდზე, ასევე, არის სკოლის ცხოვრების, შეთავაზებებისა და ვალდორფის პედაგოგიკის შესახებ ინფორმაციული ველები. თუმცა, სკოლის საიტი არ შეიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ სხვა აუცილებელ დოკუმენტაციას. მაგალითად როგორებიცაა: ხედვა და ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

ხარვეზი

სკოლის ვებგვერდი არ შეიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო ინფორმაციას.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 10.03.2025-30.06.2025წ. პერიოდი, ხოლო შენიშვნის გრაფაში შესრულების სტატუსად მიუთითა „მეტწილი“. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდის განახლება, იმგვარად, რომ იგი მოიცავდეს ინდიკატორით გათვალისწინებულ ყველა საჭირო ინფორმაციას.
აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპონენტი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - ,,მეტწილად შეესაბამება".
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი **https://www.waldorfschule.edu.ge**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში მოსწავლეების სხვადასხვა კლასში გადმოსვლის შესახებ დებულება. აღნიშნული დებულების მიხედვით სკოლაში გადმოსვლის მსურველ მოსწავლეებთან გასაუბრებას აწარმოებს „უფლებამოსილი ჯგუფი“, რომელიც შედგება, მინიმუმ, სამი წევრისგან (ხარისხის მართვის/გაძღოლის კონფერენციის მიერ შერჩეული დელეგატი და შესაბამისი კათედრის მიერ შერჩეული დელეგატი (ამ ჯგუფის მუდმივი წევრები) და შესაბამისი კლასის ხელმძღვანელი – კლასის მასწავლებელი/მზრუნველი).
მოსწავლის მიღების პროცედურებს – გასაუბრებას – წინ უსწრებს, სპეციალური აპლიკაციის შევსებასთან ერთად, მოთხოვნილი დოკუმენტების (დახასიათება, ნიშნების ფურცელი, სასწავლო/სამუშაო რვეულები, საკუთარი ნამუშევრები) წარდგენა (ეს დოკუმენტები დატოვებულ უნდა იქნას ადმინისტრაციაში/პასუხისმგებელ პირთან). ამ დოკუმენტაციას მიმღები ჯგუფი/კომისია მოსწავლესთან შეხვედრა/გასაუბრებამდე ეცნობა.
გასაუბრებისას მიმღები ჯგუფი ამოწმებს მოსწავლის:

- მხედველობის, სმენის, რიტმის, შეხების შეგრძნებებს;
- წერის, კითხვის, ანგარიშის უნარებს;
- თანმიმდევრულ აზროვნებას, მეტყველებას, ლექსიკის მარაგს;
- გეომეტრიულ უნარებს: დაგეგმილი მოძრაობა სივრცეში, ბალანსი-წონასწორობა, ორიენტაცია, სხვა სხეულებრივი უნარები;
- მოტორიკას (მათ შორის – ფაქიზიც);
- კონცენტრაციას, მახსოვრობას;
- ემოციებს - იუმორს;
- მიცემული დავალების შესრულებას (რამდენად იგებს ვერბალურ დავალებებს).

მოსწავლის სკოლაში/კლასში მიღება ხდება „მოსწავლეთა მიღების ჯგუფის/კომისიის და კლასის მასწავლებლის/მზრუნველის მიერ მოსწავლესთან და მის მშობლებთან საუბრის, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენისა და ამ ჯგუფის წევრებს შორის (მათ შორის – კლასის მასწავლებლის/მზრუნველის) შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში. „მოსწავლე სკოლაში/კლასში მიღებულად ჩაითვლება მიმღები ჯგუფის თანხმობისა და სკოლის გაძღოლის კონფერენციის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში“
აღნიშნული დებულების თანახმად სკოლაში მიღებაზე უარის შემთხვევაში, სკოლა იტოვებს უფლებას, არ გააკეთოს ამ თემასთან დაკავშირებული განმარტებანი. მოსწავლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია უბრუნდება მშობლებს, ან ექვემდებარება განადგურებას.
გარდა აღნიშნულისა, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის სისტემატიურად დაბალი მოსწრების შემთხვევაში, აგრეთვე თუ

მოსწავლის ცოდნის დონე, უნარ-ჩვევები, დისციპლინა ან ყოფაქცევა არ შეესაბამება სკოლის სტანდარტებს, მისცეს რეკომენდაცია მშობელს სხვა სკოლაში მოსწავლის გადაყვანის თაობაზე. ამავე ხელშეკრულების მიხედვით, სკოლას უფლება აქვს შეწყვეტილი სტატუსის მქონე მოსწავლეს, სტატუსის აღდგენის შემდეგ უარი უთხრას აღნიშნულ სკოლაში სწავლის გაგრძელებაზე/ან დაუდოს მოსწავლის მშობელს ხელშეკრულება ახლად მიღებული მოსწავლისათვის განკუთვნილი გადასახადის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ საკითხის ზემოაღნიშნული ფორმით მოწესრიგება ეწინააღმდეგება, ზოგადი განათლების შესახებ კანონს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N193/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს.

ხარვეზი

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები წინააღმდეგობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და იწვევს მოსწავლის კანონიერი უფლებების რეალიზაციის შეზღუდვას.

სკოლამ ექსპერტთა მოთხოვნის მიუხედავად ვერ წარმოადგინა მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანის რეგულაციები. ინტერვიუთი გამოვლინდა სკოლის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პარალელურ კლასში მოსწავლის გადაყვანის თანხმობა დამოკიდებულია მიმღები კლასის დამრიგებლის გადაწყვეტილებაზე. **სკოლას მიეცა რჩევა** განსაზღვროს მოსწავლის პარალელურ კლასში გადყვანის რეგულაცია ისე რომ არ მოხდეს მოსწავლის კანონიერი უფლებების შეზღუდვა.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 4.1.2.1. ინდიკატორის ხარვეზების მომავალში აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არსიდან გამომდინარე.
კერძოდ, დადგინდა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, რომელიც წინააღმდეგობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესაბამისად, ინდიკატორში აღწერილი ხარვეზი წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს. გარდა ამისა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 31 ივლისი, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ პერიოდამდე სკოლაში კვლავ იმოქმედებს შიდამარეგულირებელი ნორმები, რომლებმაც შესაძლებელია შეზღუდოს მოსწავლეთა კანონიერი უფლებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება ინდიკატორთან და შესაბამისად 4.1. კომპონენტთან მიმართებით არ შეცვლილა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეების სხვადასხვა კლასში გადმოსვლის შესახებ დებულება;
- საგანმანათლებლო მოსახურების ხელშეკრულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება
3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. სკოლამ წარმოადგინა სკოლის გაძღოლის კონფერენციის მიერ დამტკიცებული ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის რემედიაციის წესი. აღნიშნული წესით განსაზღვრულია რემედიაციის არსი, რემედიაციული პროცესის განხორციელების ეტაპები, პროცესში ჩართული მხარეები (მათ შორის არის მოსწავლის მშობელიც) და რემედიაციის პროცესის განხორციელების მართვა . როგორც მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუთი დადგინდა სკოლას აქვს რემედიაციის პროცესის მართვისა და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის პრაქტიკა და ამ პრაქტიკასა და მის შედეგებს დადებითად აფასებს ინტერვიუში მონაწილე სამივე მხარე.

განმცხადებელმა ინტერვიუს ფარგლებში დააფიქსირა, რომ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის /რემედიაციის გრაფიკი მასთან წინასწარ არ ყოფილა შეთანხმებული. ერთ-ერთმა მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დაადასტურა, რომ მის პრაქტიკაში ჰქონდა ადგილი მშობელთან შეთანხმების გარეშე მოსწავლესთან დამატებით ინდივიდუალურ მუშაობის წარმართვის შემთხვევას.

ხარვეზი

რემედიაციის გაკვეთილების და ასევე მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს არასაგაკვეთილო დროის ფარგლებში მოსწავლესთან დამატებით მუშაობას სასწავლო დისციპლინაში არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, აუცილებლად უნდა იყოს შეთანხმებული მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 4.2.1.3. ინდიკატორის ხარვეზების მომავალში აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არსიდან გამომდინარე ვინაიდან ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მოსწავლესთან მუშაობის /რემედიაციის გრაფიკი (განმცხადებლის შემთხვევაში) წინასწარ არ ყოფილა შეთანხმებული მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან. შესაბამისად, ინდიკატორში აღწერილი ხარვეზი წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს. გარდა ამისა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 10.03.2025-31.03.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთის მხრივ აღნიშნულ პერიოდამდე კვლავ დაურეგულირებელი იქნება წინამდებარე საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება და მეორეს მხრივ გაურკვეველია სკოლის ქმედება მსგავს სიტუაციაში 31 მარტის შემდგომ პერიოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება ინდიკატორთან და შესაბამისად კომპონენტთან მიმართებით არ შეცვლილა.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის რემედიაციის წესი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის პერიოდში არ/ვერ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების მართვის მექანიზმები/წესი, სადაც გაწერილი იქნებოდა ის პროცედურები და წესები თუ როგორ ახორციელებს სკოლა მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებას და სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველად მართვას. სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, მხოლოდ, 2024-2025 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. რომელიც განსაზღვრავს უკვე იდენტიფიცირებული მოსწავლეების საჭიროებებისთვის მორგებულ აქტივობებს. თუმცა, რა მექანიზმებით ხდება სკოლაში სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოჩენა და შემდგომ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა, ექსპერტთა ჯგუფისათვის გაურკვეველი დარჩა.
მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი აქვს მრავალფეროვანი აქტივობები და ტრენინგები, აღსანიშნავია, რომ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი არასრულყოფილია. ვინაიდან, ის აწესრიგებს მხოლოდ უკვე იდენტიფიცირებულ მოსწავლეებთან მიმართებით ჩასატარებელ საკითხებს/სამუშაოებს. ახალი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში კი სკოლას არ აქვს შიდა მარეგულირებელი გზამკვლევი, თუ როგორ უნდა მართოს პროცესები კანონმდებლობისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ხარვეზი

სკოლას არ აქვს გაწერილი პროცედურები და წესები თუ როგორ ახორციელებს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებას და სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველად მართვას.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 4.2.3.1. ინდიკატორის ხარვეზების მომავალში აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არსიდან გამომდინარე. კერძოდ, დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს გაწერილი პროცედურები და წესები თუ როგორ ახორციელებს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებას და სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველად მართვას. შესაბამისად, ინდიკატორში აღწერილი ხარვეზი წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს. გარდა ამისა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 10.03.2025-31.05.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს მოსწავლის უფლებების დარღვევა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება ინდიკატორთან და კომპონენტთან მიმართებით არ შეცვლილა.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 20.03.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ლიანა კობესაშვილი

ლ. კობესაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი კესო ბოყოველი

კ. ბოყოველი